ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2249528

ნომერი: AR1345627

თარიღი : 02.10.2015

გაცემის თარიღი : 26.10.2015

გაცნობის თარიღი : 27.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N7 , (ნაკვეთი N38/43) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვალერი გელაშვილი პ/ნ LTU22074556
- რუსთაველის N14

ორგანიზაცია:
- შპს ლიტ ჯეო ინვესტი კოდი: 204531088

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 02 ოქტომბერს #AR1345627 განცხადებით მომართა ვალერი გელაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – ჩუღურეთი, ქუჩა ც. დადიანი, #7, (ნაკვეთი #38/43)/ქ. თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, #7, შპს "ლიტ ჯეო ინვესტი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.16.02.038.072), შეთანხმებული გრგ–ს მიხედვით მე–2 სექტორში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ბ" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 04 მარტიდან 2016 წლის 04 თებერვლის ჩათვლით. სამსახურის 2015 წლის 10 ივნისის #1944953 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანებაში, კერძოდ, საერთო ფართობი დაფიქსირდა – 9301.7 კვ.მ., საცხოვრებელი ფართობი – 5955.6 კვ.მ. ხოლო, სამსახურის 2015 წლის 27 აგვისტოს #2160172 ბრძანებით ცვლილება შევიდა 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანებაში, კერძოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად #01.16.02.038.072–ის ნაცვლად მიეთითა #01.16.02.038.077.

სამსახურის 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს „ლიტ ჯეო ინვესტი". საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #882015498541, მომზადების თარიღი: 07/09/2015 წ., ს/კ: #01.16.02.038.077) შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ლიტ ჯეო ინვესტი". მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #B15176665; მომზადების თარიღი: 04/09/2015 წ.; ს/კ: #400033655; წინა ს/კ: #204531088) თანახმად, შპს „ლიტ ჯეო ინვესტი"–ს დირექტორს წარმოადგენს ვალერი გელაშვილი.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, დამხმარე ფართობად დაფიქსირებული 242.5 კვ.მ–ის ნაცვლად სარდაფის ფართობის 204.4 კვ.მ–ის, საზაფხულო ფართობად 666.2 კვ.მ–ის ნაცვლად 670.2 კვ.მ–ის, ხოლო, საერთო ფართობად 9301.7 კვ.მ–ის ნაცვლად 9267.6 კვ.მ–ს დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანებაში, კერძოდ: დამხმარე ფართობად დაფიქსირებული 242.5 კვ.მ–ის ნაცვლად დაფიქსირდეს სარდაფის ფართობის 204.4 კვ.მ., საზაფხულო ფართობად – 670.2 კვ.მ., ხოლო, საერთო ფართობად – 9267.6 კვ.მ.;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2015 წლის 02 ოქტომბრის #AR1345627 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge